ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება *Agentsia po vpisvaniyata v OL C-200/23, ECLI:EU:C:2024:827*

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) განმარტა, მოიცავს თუ არა „პერსონალური მონაცემები"-ს ცნება ფიზიკური პირის პირად ხელმოწერას:

„129. […] პერსონალური მონაცემები არის **„ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება** "[...] **„ფიზიკური პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ** [...] "";

130. [...] სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ „პერსონალური მონაცემები"-ს ცნების განმარტებაში ფორმულირების **„ნებისმიერი ინფორმაცია" გამოყენება** [...] გამოხატავს ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოს მიზანს, რომ აღნიშნულ ცნებას მიანიჭოს ფართო მნიშვნელობა, რომელიც პოტენციურად **მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციას** [...] **იმ პირობით, თუ ის „დაკავშირებული იქნება" მონაცემთა სუბიექტთან** [...]";

„131. **ინფორმაცია უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, როდესაც შინაარსის, მიზნისა თუ შედეგის კუთხით ის დაკავშირებულია იდენტიფიცირებად პირთან** [...]";

„132. რაც შეეხება ფიზიკური პირის „იდენტიფიცირებად" ხასიათს [...], მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული **„ყველა ზომა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორიც არის გამორჩევა მონაცემთა დამმუშავებლის ან სხვა პირის მიერ, რათა იდენტიფიცირებულ იქნეს ფიზიკური პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ"**;

„133. [...] „პერსონალური მონაცემები"-ს ცნების ფართო განმარტება მოიცავს არა მხოლოდ მონაცემთა დამმუშავებლის მიერ შეგროვებულ და შენახულ მონაცემებს, არამედ **ყველა ინფორმაციას, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შედეგია** [...]";

„134. ასევე, სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გამომდინარეობს, რომ **ფიზიკური პირის ხელწერა იძლევა ამ პირთან დაკავშირებულ ინფორმაციას** [...]";

„135. [...] უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური პირის პირადი ხელმოწერა, ზოგადად, გამოიყენება ამ პირის იდენტიფიკაციის მიზნით იმისათვის, რომ, ნამდვილობისა და სიზუსტის მხრივ, მტკიცებულებითი ძალა შესძინოს იმ დოკუმენტებს, რომლებზეც ეს ხელმოწერაა დასმული, ან

იმისათვის, რომ მოხდეს მათზე პასუხისმგებლობის აღება. [...]";

„რეგულაციის 2016/679 მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი

უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ **„პერსონალური მონაცემების" ცნება მოიცავდეს ფიზიკური პირის პირად ხელმოწერას აღნიშნული დებულების მნიშვნელობის ფარგლებში."**

მოკლე მიმოხილვა:

რეგულაციის 2016/679 მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი განსაზღვრავს „პერსონალური მონაცემების" ცნებას.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია, GDPR)
ევროკავშირის დებულება	რეგულაციის 2016/679 მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, (*სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.020936; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია*)
საკვანძო ტერმინი	**ფიზიკური პირის პირადი ხელმოწერა**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2024 წლის 4 ოქტომბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, Agentsia po vpisvaniyata v OL C-200/23; ECLI:EU:C:2024:827*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.